

„რა ღირს თვითმმართველობის სერვისი?!“

პროექტის მხარდაჭერა:



ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის და ევროკავშირის მიერ

ბანმახორციელებელი:



საქართველოს დემოკრატიული განვითარების
კავშირი

პროექტის იღმის წინაპირობა

- ახალი ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განხორციელებული რეფორმა;
- ახალი თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდა და რეფორმამდე არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაყოფა 2 თვითმმართველ ერთეულად - ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტებად;
- 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგად მოსული ახალი პოლიტიკური გუნდის საქმიანობებზე ზედამხედველობა და დაკვირვება

პროექტის შებენის მიზანი

- როგორ არის საბიუჯეტო პროცესის ვადები დაცული;
- რამდენად ადექვატურია ბიუჯეტის პრიორიტეტები მოსახლეობის საჭიროებებთან;
- როგორ არის თითოეული ხარჯი გამიფრული და როგორ ხდება მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა;
- რამდენია ადმინისტრაციის შენახვისთვის განკუთვნილი ხარჯები და რამდენად ზომიერია სახელფასო თუ საპრემიო თანხების მოცულობები;
- სად არის კორუფციული ნიშნები და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

დაკვირვების შედეგები

ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ჩახედვისთანავე, მომეტებულ ყურადღებას იქცევს მათი ხარჯვითი ნაწილის ე.წ. „სუბსიდიები“-ს მუხლი.

- ეს ხარჯი, როგორც წესი, მიმართულია თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების - უმთავრესად, ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების - დასაფინანსებლად.

- მომეტებული ყურადღება იმითაა განპირობებული, რომ ხსენებული მუხლი, შესაბამისი საბიუჯეტო რესურსების მასშტაბებთან შედარებით, საკმაოდ მსხვილ თანხებს მოიცავს და, რაც მთავარია, ეს ხარჯი გაუმჭვირვალობით ხასიათდება და, ძირითადად, დაუსაბუთებელი და ბუნდოვანია.

- ფაქტიურად, ოზურგეთის არცერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის განწერილი, თუ ამ თანხებიდან რომელ ა(ა)იპ-ს ან შპს-ს რისთვის ერიცხება საბიუჯეტო თანხები ფისკალური წლის განმავლობაში, ან რა პროგრამის ან რა მომსახურების განწვევისთვის.

- მაგალითად, ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში „სუბსიდიების“ ხარჯი შეადგენს 3 112 500 ლარს, რაც მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 45%-ზე მეტია.

- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში კი „სუბსიდიების“ ხარჯი განისაზღვრება 3 761 200 ლარით, რაც ქალაქის მუნიციპალიტეტის მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 49%-ზე მეტია.

- გარდა ზემოაღნიშნულისა, საინტერესოა ასევე საკრებულოს წინაშე ამ იურიდიული პირების ანგარიშგების პროცესი გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობების თაობაზე. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ მათი წერილობითი ანგარიშები გასული 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობების შესახებ ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

შენიშვნა: აღნიშნული საპროცენტო განაკვეთები შეესაბამება მხოლოდ დამტკიცებული ბიუჯეტის პირველად მონაცემებს, ანუ მდგომარეობას მათში ცვლილებების განხორციელებამდე

პროექტის მიზანი

ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების საჯარო თინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მათი სერვისული ვალდებულებების პროგრამული და ანგარიშგებითი მოდერნიზება და სამოქალაქო მონიტორინგის მეშვეობით ხელისუფლების საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად გამოყენებაზე გრძელვადიანი ნორმატიული ბაზის შექმნა.

პროექტის ამოცანები

1. ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების - ე.წ. ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს.-ების საქმიანობის მონიტორინგი და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

2. ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის გამოყოფილი საჯარო თინანსების ეფექტურად განკარგვისა და ანგარიშგების მექანიზმების დამკვიდრების ხელშეწყობა და ორივე მუნიციპალიტეტისთვის წინაპირობის შექმნა პროგრამული ბიუჯეტის ელემენტების წახალისებისთვის.

პროექტის აქტივობები

- ინფორმაციის მოთხოვნა და შეგროვება ორივე მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს.-ებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტებისა და მათი საქმიანობის შესახებ
- მონაცემთა ბაზის შექმნა ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს.-ებზე ორივე მუნიციპალიტეტში
- წერილობითი რეკომენდაციების წარდგენა, რომელიც დაფუძნებული იქნება ჩატარებული ანალიზის შედეგების მიხედვით
- პერიოდული შეხვედრების ორგანიზება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რათა განხილულ იქნეს გამოვლენილი პრობლემები და გამონწვევები
- სტანდარტული საბიუჯეტო განაცხადის ფორმისა და შესაბამისი ინსტრუქციების შემუშავება ორივე მუნიციპალიტეტისთვის
- სტანდარტული საანგარიშგებო ფორმისა და შესაბამისი ინსტრუქციების შემუშავება ორივე მუნიციპალიტეტისთვის
- ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს.-ების საქმიანობების მონიტორინგი პროექტის ხანგრძლივობის პერიოდში
- მონიტორინგის შედეგების პრეზენტაციების ორგანიზება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით
- საზოგადოების ინფორმირება (და მათი ჩართვა) პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობებისა და უმთავრეს პრობლემების შესახებ

მოსალოდნელი შედეგები

- უზრუნველყოფილია ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსების მნიშვნელოვანი მოცულობის გამჭვირვალობა და მოსახლეობისთვის ცნობილია, რა უჯდება ადგილობრივ ბიუჯეტს თვითმმართველობის სერვისები, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების მეშვეობით;
- შემცირებულია ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ადმინისტრაციული ხარჯი და ხორციელდება კადრების ოპტიმიზაციის პროცესი, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას უწყობს ხელს.
- ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ების და შპს-ების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და შექმნილია მათი მონიტორინგის სისტემა;
- ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების 2016 წლის ბიუჯეტებში ჩნდება პროგრამული ბიუჯეტის ელემენტები;
- ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის დროს უზრუნველყოფილია ყველა საბიუჯეტო (მხარჯავი) დანახარჯების მხრიდან საბიუჯეტო განაცხადების წარდგენის პროცესი, რაც ხელს უწყობს საჯარო ფინანსების გაშიფვრას (გამჭვირვალობას) და მათი პროგრამული საქმიანობის იდენტიფიკაციას;
- სისტემაშია მოყვანილი ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტის ანგარიშვალდებული სუბიექტების მხრიდან წლიური ანგარიშების წარმოდგენის პროცესი და იგი ნორმატიულად დადგენილ ერთიან სტანდარტულ მოთხოვნებს ექვემდებარება;

გეგმვაშია მოყვანილი ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტის ანგარიშვალდებული სუბიექტების მხრიდან წლიური ანგარიშების წარმოდგენის პროცესი და იგი ნორმატიულად დადგენილ ერთიან სტანდარტულ მოთხოვნებს ექვემდებარება;